დანართი

დებულება

ბლოგების კონკურსი თავისუფალ თემაზე

კონკურსის ლაიტმოტივი: ,,შექმენი ბლოგი შენთვის საინტერესო თემაზე, გააცანი შენი თავი საზოგადოებას და შენი წვლილი შეიტანე წიგნიერების დონის ამაღლებაში“

1. ზოგადი დებულებები:

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლებში კონკურსის ,,თავისუფალი თემა“ ჩატარების წესსა და პირობებს, მიზნებს, ამოცანებს და მოთხოვნებს, გამარჯვებული ბლოგების ავტორების დაჯილდოებას, აგრეთვე, მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.

2. კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია,

2.1. განათლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა; ინიციატივების წახალისება, მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად;

2.2. ქ.ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების მიერ კონკურსისათვის თავისუფალ თემაზე ბლოგის /ვებგვერდის / შექმნა;

2.3. ქ.ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების ჩართულობა პროექტებში;

2.4. მოსწავლეთა კვლევის, ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის, შეფასებისა და კრიტიკული პრეზენტაციის უნარების განვითარება;

2.5. მოკვლეული მრავალფეროვანი აქტივობებით ლიდერების აღმოჩენა და მათში ისეთი უნარების განვითარება, რაც ახალგაზრდებს შემდგომ ცხოვრებისეულ სარბიელზე წარმატების მისაღწევად ფასდაუდებელ გამოცდილებას შესძენს.

3. კონკურსის ამოცანები:

3.1. მოსწავლეები იკვლევენ თავისუფალ თემაზე საინტერესო ისტორიას, ჩამოაყალიბებენ საკუთარ ხედვას;

3.2. მოკვლეულ ინფორმაციას წარმოადგენენ ვებგვერდის /ბლოგის/ სახით.

3.3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ქ.ქუთაისის საჯარო სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეებს, რომელთაც კონსულტაციას გაუწევს მასწავლებელი;

3.4. ბლოგი /ვებგვერდი/ შექმნილი უნდა იყოს სპეციალურად ამ კონკურსისთვის /2019 წლის აპრილის შემდეგ/;

3.5. ბლოგში უნდა იყოს ცალკე სექცია /„ჩვენ შესახებ“/, რომელშიც განთავსებული იქნება ინფორმაცია კონკურსანტების და კონსულტანტების შესახებ /ასევე საკონტაქტო ინფორმაცია/;

3.6. თითოეული სკოლა წარმოადგენს ერთ საუკეთესო ნამუშევარს.

4. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები:

4.1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება უზრუნველყოფს,

ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად:

- სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურსის ჩატარებას;
- კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ააიპ ქ.ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება.

4.2. კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის;

4.3. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ 8 ბლოგის მონაწილეობის შემთხვევაში;

5. კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადები:

5.1. კონკურსი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2019 წლის 15დეკემბრა- მდე.

- კონკურსის ჩატარების კალენდარული გრაფიკი:

I ეტაპი: კონკურსის მოსამზადებელი ეტაპი, /დებულების დაგზავნა სკოლებში ელექტრონულად. პროექტში მონაწილე მსურველების რეგისტრაცია/; -2019 წლის 22-30 აპრილი;

II ეტაპი: კონკურსის განხორციელება - 2019 წლის მაისი-ნოემბერი;

III ეტაპი: კონკურსის შეჯამება-დაჯილდოება - 2019 წლის დეკემბერი.

6. საკონკურსო დროებითი კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება:

6.1. კონკურსის დებულებას და დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით;

6.2. დროებითი კომისია შედგება 7 წევრისაგან;

6.3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან განათლების სფეროს მუშაკები; მოწვეული სპეციალისტები;

6.4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი;

6.5. თავის საქმიანობაში კომისია ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით, წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით;

6.6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი დროებითი კომისიის მიერ პირველ ეტაპზე შერჩეული ბლოგების ავტორები გააკეთებენ საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას, რის საფუძველზეც, დროებითი კომისიის მიერ გამოვლინდებიან საბოლოო გამარჯვებულები.

7. დროებითი კომისიის მუშაობის წესი:

7.1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე;

7.2. გამარჯვებული გამოვლინდება ღია კენჭისყრის გზით;

7.3. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შემდეგაც ოქმში კეთდება აღნიშვნა;

7.4. დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

8. ბლოგების შეფასების კრიტერიუმები:

8.1. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისია, კონკურსში რეგისტრირებულ ბლოგებს სარეგისტრაციო ვადის ამოწურვიდან ორი კვირის განმავლობაში დააკვირდებიან და შეაფასებენ კრიტერიუმების მიხედვით:

8.2. ბლოგის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან;

8.3. ვებგვერდის /ბლოგის/ დიზაინი და სტრუქტურა;

8.4. ბლოგზე განთავსებული ჩანაწერების შინაარსი და ხარისხი;

8.5. ბლოგების გაფორმება შესაბამისი ფოტო - მასალით, მოსაზრებების დაფიქსირება, რაც ადასტურებს ბლოგის ავტორის პროცესში ჩართულობას;

8.6. გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა /მითითება/;

8.7. მოსწავლეთა ინდივიდუალიზმი;

8.8. კვლევითი კომპონენტი და სხვადასხვა სახის კომპონენტების შერჩევა-სისტემატიზაცია;

8.9. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ავტორების მიერ სტატიებისა და ფოტო-მასალის გამოქვეყნებისას საავტორო უფლებების დაცვას. ასეთ მასალებზე მითითებული უნდა იყოს ავტორი;

8.10. ის ბლოგები, რომლებზეც პოსტების უმეტესობა იქნება დაკოპირებული, ინტერნეტიდან ან სხვა რესურსებიდან და არ იქნება დაფიქსირებული ავტორის მოსაზრებები, შეფასდება მინიმალური ქულებით;

8.11. ავტორის მიერ განთავსებული ჩანაწერები გაკეთებული უნდა იყოს ქართული შრიფტით;

8.12. დროებითი კომისიის მიერ პირველ ეტაპზე შერჩეული ბლოგების ავტორები გააკეთებენ საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაციას, რის საფუძველზეც, დროებითი კომისიის მიერ გამოვლინდებიან საბოლოო გამარჯვებულები.

9. გამარჯვებული ბლოგების გამოვლენა და დაჯილდოება

- კონკურსში მონაწილე ყველა საჯარო და კერძო სკოლა დაჯილდოვდება სერტიფიკატით;
- კომისია გამოავლენს 3/სამ/ გამარჯვებულ ბლოგს:

I ადგილი - 600/ხუთასი/ ლარი;
II ადგილი - 500/ოთხასი/ ლარი
III ადგილი - 400/სამასი/ ლარი.

- ასევე, ფულადი თანხით დაჯილდოვდებიან დროებითი კომისიის მიერ შერჩეული აქტიური ჯგუფები: /აქტუალური, კრეატიული ბლოგი/, /თითოეული ჯგუფი 150 ლარით/;
- გამარჯვებულებს გამოავლენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცებული დროებითი კომისია.
- ბლოგების კონკურსში მონაწილე ყველა დარეგისტრირებული სკოლასა და კოორდინატორს გადაეცემა მონაწილეობისა და მადლობის სიგელები.

10. პროექტის შესაძლო აქტივობები:

10.1. ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, დახარისხება, ანალიზის, კომუნიკაციის, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება. კვლევა, დისკუსიები, მოპოვებული სურათების შეგროვება, ელექტრონულად შენახვა;

10.2. მოსწავლეებს თავისუფალი დრო ექნებათ მიზანმიმართული, სკოლა გახდება უფრო აქტიური, კონკურენტუნარიანი. სკოლის აქტიური მუშაობა დაბალი კლასის მოსწავლეებისთვისაც იქნება სასურველი და მისაბაძი. მათ გამოუმუშავდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი, გააცნობიერებენ ადამიანთა თანამშრომლობის აუცილებლობას, ჩაერთვებიან საზოგადოებრივ საქმიანობაში;

10.3. საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები უკეთესად შეიცნობენ საკუთარ ღირსებებს და ისწავლიან მათ მიზანმიმართულ გამოყენებას ქვეყნის სასარგებლოდ;

10.4. პროექტზე მუშაობით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ კვლევის უნარ-ჩვევები, საკომუნიკაციო უნარი, შეძლებენ საგანთაშორის კავშირების დამყარებას, სხვადასხვა დისციპლინაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად.

პროექტის ავტორი და საკონტაქტო პირი: მაყვალა ქობულაძე, ააიპ ქ.ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი. ელ-ფოსტა: makvalakobuladze@gmail.com

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი